

საქსი

გამოცემის 45-ე წელი უახლესი 20 კპპ.

საქართველოს
განმანათლებლო
სისტემა



— რა გავდა, ქალბატონო, ორი თვეა დავდივარ და ერთ კატარა
ცნობაზე ხელი ვერ მოვაწერინე დირექტორს.
— არ იცის, ბატონო, წერა-კითხვა და მოკალი ახლა!

წელს, გამოჩენილ ქართველ მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრს სერგო დავითის მე კლდიაშვილს შეუსრულდა 75 წელი.

ბატონო სერგო!

ჟურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგია ჩვენი ჟურნალის მკითხველთა სახელით მსურველედ გილოცავთ თქვენი დაბადების 75 წლისთავს.

დიდია და ფასდაუდებელი ღვაწლი, რომელიც თქვენ დასდეთ ქართულ ლიტერატურას და, კერძოდ ჩვენს ჟურნალს „ნიანგს“.

მიიღეთ ქართველი მკითხველისა და პირადად ჩვენი მადლობა. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და მსგერძელობას ქართველი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ჟურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგია.

სერგო კლდიაშვილს

ნიანგში რომ გწერთ, ძვირფასო,
გადიდებთ, კი არ გიჩივიტ.
კიდევ იცოცხლე ამდენი,
იყავი ჭინკა ბიჭივით!



სერგო კლდიაშვილი

მ ვ ე ლ ე ბ უ რ ი ი დ ი ლ ი ა

...თითქმის იმავე ტანსაცმელში, რომელშიც რამდენიმე წუთის წინ ოთახში ეძინათ, ბეკო და მარიამი უკანა აივანზე გამოვიდნენ.

მზე გადახრილი იყო. მაღალ ჭადარს გრძელი ჩრდილი დაეფინა. ცხელი.

ცოლი და ქმარი კიდევ ვერ გამოფხიზლებულიყვნენ დახუთულ ოთახში ძილისაგან.

მარიამმა ტოგოს ტაშკით ცივი წყალი მოატანა და ფეხები ჩაღვა გასაგრილებლად. ბეკომ შურით გადახედა, მაგრამ ძილისაგან ისე იყო გაოგნებული, რომ დაეზარა ეთქვა გოგოსთვის მისთვისაც მოეტანა. ერთ ხანს ითმინა და შემდეგ, როცა მარიამმა ფეხები ამოიღო, თავისთვის მოიჩოჩა ტაშკი.

— აგიღუღებია, შე ქალო! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ბეკომ.

ჭადრის ჩრდილი თანდათან გრძელდებოდა. მზე სპილენძისფერი ხდებოდა. შორიდან მატარებელმა დაიკივლა.

— მატარებელი იყო?

მარიამმა, რომელიც გაზეთის ბოლო გვერდზე სამგლოვიარო განცხადებას კითხულობდა, არ უპასუხა.

კითხვითაც რომ არ ყოფილიყო გართული, ალბათ, არც მაშინ უპასუხებდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ბეკომ გარკვევით გაიგონა ორთქლმავლის ხმა.

ბეკომ ერთ ხანს უცადა პასუხს. დალაპარაკება უნდოდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა.

— გაზეთს კითხულობ? ვინ მოკვდა?

მარიამს რამდენიმეჯერ ჰქონდა წაკითხული სამგლოვიარო განცხადება, მაგრამ მაინც დაუზარებლად დიწყო:

— „გაუბედურებულნი და უნუგეშოდ მყოფნი...“

— თვითონ მიცვალებული ვინ იყო?

— ვიღაც ნოზრევან დეკანოიძე, — პასუხი იწება მარიამმა.

— არ გაშიგონია! — გულგრილად თქვა ბეკომ.

მარიამს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა პირისუფალთა სახელების ჩამოთვლა, რომ ბეკომ ისევ შეაჩერა:

— დაცა, ქალო... ვერ გავიგე, ბიცოლა რომელია?

— რომელია და მართა.

ბეკომ გაკვირვებით შეხედა ცოლს.

— ჩემი არ იყოს, შენც დავთარი აგერია. ბიცოლა კი არა, დეიდა უნდა იყოს.

— ეს სხვა არის, სხვა... დაუკვირდი, როცა ვკითხულობ!

— ნუ ცხარობ, დედაკაცო. გაცხარება რა საკადრისია. აი, დახედე, რა წერია: „მესამენი — დეიდები ანასტასია, ტუფა, მართა და...“

— ეს სხვა მართაა, გამოტყინებული — თავი ვეღარ შეიკავა მარიამმა. — ქვეყანაზე ერთი მართას მეტი არავინაა? ვითომ არ შეიძლება ბიცოლა მართა მყოლოდა და დეიდასაც იგივე სახელი რქმეოდა?

— ეგ კი შეიძლება. ასე თქვი, მამაცხოვრებულო, რა გაუვირებს!

ბეკომ უეცრად მოიწყინა. ცოლს მიაჩერდა და ჩუმად, ძალიან ჩუმად დაუძახა:

— მარიამ!

ქალი მეორე სამგლოვიარო განცხადებას კითხულობდა.

— მარიამ, გაწერა ღმერთი და მომიკვდი... რაღა მეშველება მე უბედურს?

ცოლმა გაკვირვებით გადახედა.

— რაო?

— არა, ისე, სიტყვაზე... ღმერთმა ნუ მომასწავროს, მაგრამ ვთქვათ, მოხდა ასე... წარმოვიდგინოთ... რაღა ვქნა მაშინ? ვინ იქნება ჩემი პატრონი?

— მერედა, რა გაგიჭირდება. ცუდი შვილები დაგიზარდე? ღენტორი აგერ არაა?

ბეკომ შვილის სახელი გაიმეორა. კრიალო-სანი აათამაშა.

— გაწერა ღმერთი და მოკვდა ღენტორი!

— ნუ მოესწარი მაგას! — მიაძახა მარიამმა.

— წარმოვიდგინოთ, მოხდა...

— რას ჩერჩეტობ, ადამიანო?

— ვთქვათ, ისე, სიტყვაზე...

— ვასილი მოგივლის... საიმედო შვილი არაა თუ?

— იცოცხლე საიმედო ის იყოს, — დაუდასტურა ბეკომ, — მისი იმედი მართო მე კი არა, მთელ ჩვენს ქუჩას აქვს...

სადგურის მხრიდან ხელმეორედ გაისმა ორთქლმავლის კივილი.

— კი მარა, გაწერა ღმერთი და მოკვდა ვასილიც! ხომ დავიღუპე მაშინ?

მარიამი გაბრაზებით მიაცქერდა ქმარს.

— ხომ არ გავიღუდე, ვეუო? რას გვერჩი, რად ამოგვწყვიტე ყველა?

— არა, ისე, სიტყვაზე...

— თუ ყველა გავწყვდი, შენ რაღა ოხრად გინდა სიცოცხლე?! — მიაყვირა მარიამმა.

სიზგარი და სინამდვილე

ნახ. პ. ლოლუასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუჩაში მივდიოდი. ყველა ერთმანეთს უღიმოდა. ყველა ბედნიერი იყო. უბედურები არ ჩანდნენ. გადაასვლელზე მილიციელმა გამაჩერა.

— თუ ძმა ხარ, წესიერი ყმაწვილი ჩანხარ და ძალიან გთხოვ, დაარღვიე რა წესრიგი! — მთხოვა მან, — აგერ წელი თავდება და არც ერთი შემთხვევა არა მაქვს, გეგმას ვერ ვასრულებ!.. — მილიციელს ცრემლები წამოუვიდა.

— როგორ დავარდვით? — გამიკვირდა მე.

— აგერ იმ მამაკაცს უჩქმიტე, მე დაგიჭერ და მერე გაგიშვებ!

მამაკაცის ბედნიერ სახეს შევხედე და თავი გავაქნიე.

* * *

მაღაზიაში არავინ იყო გამყიდველის გარდა და თაროებზე ეწყო ყველა ზომისა და ფერის ნაირ-ნაირი ფეხსაცმელი.

— რომელი გნებავთ, ძვირფასო?! — მკითხა გამყიდველმა და სახე ღიმილმა გაუბარდა.

— რა ვიცი... — დავბეჩე მე.

— აი, აარჩიეთ! — მან დახლზე ოცი წყვილი დამიდო. ავარჩიე და ვიყიდე.

* * *

როცა ავტობუსში ავიდი, კონდუქტორს არ უთქვამს, გაიარეთო. ხალხი იმდენად შეგნებული იყო, რომ არ სჭირდებოდა ამის თქმა. „რამდენად გაიზარდა შეგნება“, — გავიფიქრე და შემრცხვა ჩემი შეუგნებლობისა.

* * *

ავტობუსიდან ჩამოსულმა, ინსპექტორი დავინახე. იგი მოწყვნილი უცქერდა მანქანებს და ლოყებზე მსხვილი ცრემლები ჩამოსდიოდა.

— რა მოგივიდათ, რატომ ტირით?! — ვკითხე გულაჩუყებულმა.

— რამდენი ხანია, მოძრაობის წესები აღარავის დაურღვევია. დამავიწყდა, ტალონს როგორ ხვრეტენ და ლურსმანი ჟანგმა შემიჭამა. თუ ასე გაგრძელდა, არ ვიცი, რას ვიზამ! — თქვა მან და ცხვირსახოცი ცრემლები შეიმშრალა.

* * *

მაღაზიაში შევედი. ვიღაც კაცმა მოლარის მიცემული ხურდა რამდენჯერმე გულდასმით გადათვალა და სინანულით თქვა:

— ეჰ, ერთხელ მაინც მომცეს არასწორად, რამდენი ხანია, არ მიჩნებია, საბაბს აღარავინ მაძლევს! — ეტყობოდა, ძველი ინტრიგანი იყო, იმ დროიდან შემორჩენილი, როცა შეგნება დაბალ დონეზე იდგა.

* * *

პროდუქტებით დატვირთულმა, მარცხენა თვალი ოდნავ დავახამხამე და ჩემს წინ ტაქსი გაჩნდა. როცა სახლთან გავეჩრდი, მრიცხველზე 98 კაპიკი ეწერა. მძღოლს მანეთიანი მივეცი და ჩასვლა დავაპირე. მან ხელი მტაცა და არ გამიშვა, მერე ჯიბიდან ორკაპიკიანი ამოიღო და მომაწოდა.

— როგორ გეკადრებათ! — მითხრა და მომქაჩა. რაც ძალი და ღონე მქონდა, ხელი დავმუშტე. მაგრამ მძღოლი ჩემზე ჯანიანი იყო, მუშტი გამიხსნა, ორკაპიკიანი ჩამიდო, ხელი მჭრა და... ამ დროს გამომეღვიძა კიდევ.

სიმონ ჯაფარიძე



— გვიშველე, არსენ! დახე რა უღმერთოდ გვატყუებენ.

აქა ამაგავი ერთი სოფლის მაღაზიისა

ჩივიან მომხმარებელნი,
შეწუხებულნი მეტად:
„ეს მაღაზია არის თუ
სამიკიტნოა, ნეტავ?!

როცა არ უნდა შეხვიდე,
სვამენ, ლოთობენ მუდამ“.
ჰა, გამგეჯ აბა, რას იტყვი?
გასუხი გაგვეცე უნდა!

აქ გამგემ ბატონკაცურად
ცხვირი ასწია მაღლა:
„სულაც არ მეპიტნავენა
თქვენთან ბაასი ახლა!“

ჩივიან მომხმარებელნი,
რა ვილონოთო, ნეტავ,
ამ მაღაზიას, როცა გასურს,
მაშინ ალებ და კეტავ.

ამაზე გამგემ ისეთი
სიტყვები დასძრა წყენით.
იმას ქალაღზე ვერა ვწერ.
ვერც ვიმეორებ ენით.

ამბობენ, ზომა-წონაში
მუშტარს ატყუებ მუდამ
და თანაც თურმე არასდროს
არვის უბრუნებ ხურდას.

„ალბათ სიზმარში თუ ნახეთ“.
ძალზე გაბრაზდა გამგე,
„მაგ ცილისწამებისტვის
იცოდეთ, პასუხს აგებთ!“

„მეტის მოთმენა არ
ძალგვიძს!“ —
თქვა ბოლოს ხალხმა მტკიცედ.
„ამდენ პარპაშის უფლებას
მაგ თავხედს აღარ მივცემთ!“

და გამგე იგი, რომელიც
ვერ ეტეოდა კანში,
მაღაზიიდან კინწისკვრით
გამოისროლეს კარში.


ზოთა ამირანაშვილი




— ნეტა ერთოთახიანი ბინა მოეცათ, რა გა-
მოცვლის სამ ოთახში პარკებს!



— კონსერვებ? ერთი ქარხანა მეს ღაპკონ-
სერვს დღეს.




— რად უნდა 100 გრამ პარკს მგებულა ქა-
ლალიდი?
— ქალაქშიც ფულს ხომ არ გაცდენინებ, შე
კაცო!



— თუ შეიძლება, ერთი ბოთლი საირმა მომე-
ცით!
— ღაიპარბე იქით, სადაა საჰენო საირმა!

ახსანაგო



მაპატიეთ, რომ ასე სამსახურებრი-
ვი ოფიციალობით მოგმართავთ.
ძვირფასო ნიანგო, მაგრამ საქმე სა-
ზოგადოებრივად მეტად საჭირობო-
ბო ამბავს ეხება და მე, ტელეფონ-
ავტომატს, რომლისთვისაც ასე ბუნე-
ბრივია ინტიმური კილო, აღარ შემი-
ძლია ფამილარობა.

ჩემი სახელოვანი წინაპრებისაგან
გამიგონია, ოდესღაც, მრავალი საუ-
კუნის წინათ, მონათმფლობელური
წყობილება არსებობდაო, — პატრო-
ნები მონებს. როგორც საკუთრებას
ისე ჰყიდდნენ, ჰკლავდნენ, ასახი-
რებდნენ, ყურებს სჭრიდნენო. მაგრამ
ამას წინათ დავრწმუნდი, რომ ჩვენ-
ში ჯერ კიდევ შემორჩენილა ამ
წყობილების გადმონაშთები.

შუალამე იქნებოდა.

შუალდის შემდეგ ადამიანის ხმა არ
გამეგონა და საშინლად მოწყენილად
ვერძნობდი თავს. თქვენ არ იცით, რა
უსაზღვროდ ბედნიერი ვარ ხოლმე,
როდესაც ერთმანეთისაგან კილომეტ-
რებით დაშორებულ ადამიანებს დავა-
კავშირებ, ვალაპარაკებ, ხან პაემნებს
დავანიშნებ, ხან სიყვარულზე ვაჟ-
ღურტულებ, ხან ერთმანეთს გამო-
ვალანძღვინებ, გულს მოვაოხებინებ
და ამით ინფარქტისაგან გადავარჩენ-
ო, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ბედ-
ნიერებაა ეს. ისე მინდა ხოლმე, ისე
მინდა ადამიანები ნასიამოვნები დარ-
ჩნენ ჩემი სამსახურით, რომ თუ შემ-
თხვევით ორკაპიკიანი არა აქვთ, ან
გაუთავდათ, საკმარისია ჩემი ყურმი-
ლი ერთი მიანჯღრ-მოანჯღრიონ და
ერთბაშად ჩვიდმეტ ორკაპიკიანს ჩა-
მოვუყრი ყულაბიდან. ანდა, თუ შემ-
თხვევით ვერ დაუკავშირდნენ თავი-
ანთ ნაცნობებს, მაშინვე უცნობთან
ვალაპარაკებ, რომ გაერთოს, ანდა,
ბოლოსდაბოლოს, რომ გაიცნონ ერ-
თმანეთი. ამ პატარა ქალაქში სანამ-
დე უნდა დარჩნენ უცნობებად?

ჰოდა, ძალიან მოწყენილი ვიყავი-
მეთქი, როდესაც სიბნელეში ორი
ლანდი მომიახლოვდა. სიხარულისა-
გან დენმა დამიარა მავთულგზში —
ასხა რამე ახალ ჭორს გავიგებ-მეთ-
ქი. მაგრამ უეცრად მთვარის შუქზე
დანამ გაიელვა და მე შიშისაგან კი-
ნალამ გამოვითიშე.

— ჩქარა, ვილაც მოდის! — წაუ-
სისინა ერთმა ლანდმა დანიანს და
პიჯაკის კალთაში ჩაყრილი რაღაც
საგნები ააჟღარუნა. მე გონება და-

მიბნელდა, ლურჯი და წითელი ფრე-
ბიანი რგოლები დამიტრიალდა
თვალწინ, რადგან პიჯაკის კალთაში
აშკარად დავინახე ჩემი მოძმეების
მოჭრილი ყურმილები, რომელთაც
მავთულგზიდან წაწვართ სდიო-
დათ დენის სუსტი ნაკადი.

— ერთბაშად ყურმილზე ხაზვი არ
დამაჭრათ! — შევძახე რიხიანად,
რომ ბოროტმოქმედები დამეჭრებო.
მაგრამ დანიანმა ოსტატურად ამათა-
ლა ყურმილი და ორივენი სიბნელეს
შეერივნენ.

მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გა-
მიკეთეს ოპერაცია და ახალი ყურ-
მილი მომაბეს. გული ბოლმით მქონ-
და სავსე. მზად ვიყავი შური მეძია
ჩემი შეურაცხყოფისათვის და გადავ-
წყვიტე, სანამ ოპერაციის საფასურს
არ ავიანაზღაურებდი, ადამიანი ადა-
მიანთან აღარ დამელაპარაკებინა. იმ
დღიდან არა თუ მეცოდებოდა უორკა-
პიკიანობები, პირიქით, ორკაპიკიანების
პატრონებსაც აღარ ვალაპარაკებდი
ვინმესთან, და აღარც ფულს ვუბრუ-
ნებდი უკან. ასე ვაგრძელებდი ოპერა-
ციის თანხას, სანამ ერთ მთვრალს.
რომელსაც, გტყობა, ღვინო აკლდა და
ერთ პურმარილიან ოჯახში დარეკვას
ცდილობდა. იქნებ დამპატივონო,
ჩვიდმეტი ორკაპიკიანი და ოთხი
ორშაურიანი არ გადავუყლაპე. გაცო-
ფებულმა იძრო ჯაყვა და ერთი მოქ-
ნევით ამათალა 'ყურმილი.

მას აქვთ ვარ ასე უყუროდ, აღარა-
ვინ აღარ მიკეთებს ოპერაციას. ერ-
თადერთი იმედი გადანერგვის ოპერა-
ციაზე მაქვს. იქნებ გამოჩნდეს ვინმე
ადამიანისშვილი და გაიმეტოს თავი-
სი ყური ჩემთვის. მე თანახმა ვარ გა-
დავინერგო, რომელიც გნებავთ მილი-
ციის მუშაკის, რომელიც გნებავთ
ატს-ის თანამშრომლის და, აგრეთვე,
თუკი პატივს დამდებთ, თქვენი ყუ-
რი და ყურადღება, ძვირფასო ამხანა-
გო 99-76-69-ო!


გწერთ (რადგან ველარ ვალაპარა-
კობ).

თქვენი ყურმილმოჭრილი მონა.





— ეჰ, რაღა როგორ ვართ, წყალი ჩამოვდის სახლში.
— წყალი არ არის, კაცო, და შენ საიდან ჩამოვდის?
— ჩემს ზევიტ ახალგაზრდა მწერალი ერთი თვეა რომანს წერს.



— უმაღლესში როგორ მოხვდით, ყმაწვილო?
— მაგას ნუ მკითხავთ, ბატონო, და სხვა რაც გინდათ მკითხეთ.



— მე ხველი თევზი გთხოვ, შენ ნელა თევზს აძლევ?
— სავაგიეროდ ხველთაშუა ზღვისაა.

ნიანგის იურიდიულ კონსულტაციას

კითხვა: გამოქვეყნებული მაქვს რამდენიმე ლექსი, გამოუქვეყნებელი მაქვს შეიღასმდი ანონიმური წერილი (რომელთა შესახებ იციან სადაც საჭიროა) ფსევდონიმებით: „თქვენი კეთილის მსურველი“, „მოყვარე“, „დაჩაგრული“, „ცამდე მართალი“, „აქაური“, „ქართული“.

დამეხარა ტრომბოფლებიტი, კიბო, ტუბერკულოზი და ახლა გვწავს ტვინის ანთებით, ცოლმა მიმატოვა და ქალიშვილი გაჰყვა საკუთარ მამიდაშვილს. ავადმყოფობის გამო მინდა გავიღო პენსიაში, მეტი წერა აღარც შემიძლია, გთხოვთ მიპასუხოთ გამოუქვეყნებელი ანონიმური წერილები ჩამეთვლება თუ არა შრომებში?

„დანაგრულადაღლილი“.

პასუხი: სასწრაფოდ მოგვწერით თქვენი ვინაობა და მისამართი, თუ არა და, დაჰყარავთ პენსიას.

კითხვა: ინტრიგანობის გამო გამათავისუფლეს სამსახურიდან, დამნიშნეს ერთ-ერთი საწარმოს უფროსად. ორი თვისთავზე საწარმოს 8 წლისთავთან დაკავშირებით მომცეს დამსახურებული ინჟინერის წოდება. სხვა დახმარება არაფერი მიმიღია. ახლა მალე ჩვენს საწარმოს უსრულდება ცხრა წელი, ხოლო მე ორმოცდაოთხი. გთხოვთ გამარკვიოთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით მეკუთვნის თუ არა მედალი, ორდენი, ან რაიმე წამახალისებელი ჯილდო.

პანო ვანაძე

პასუხი: სანამ თქვენს საწარმოს ათი წელი არ შეუსრულდება და თქვენ ორმოცდახუთი, გერაფერსაც გერ პილიტებ. შემდეგ კი თქვენი თავი თვითონვე წარმოადგინეთ და ვნახოთ, ხალხნი ვართ...

თბილი წინდები და...

ცოვა, ყინვის მათრახებს ატყლაშუნებს ზამთარი, გრძელ ქუჩებს რომ მოსძახის ქარია თუ აფთარი?

ცა კვლავ ბარდნის გულუხვად, სუსხიც უფრო მატულობს. დროს, ო, რა ძნელია თბილ წინდებს რომ ნატრულობ.

საცა არის თითები ყინვისაგან მოგდგრება, შენ კი ხელთათმანები გაგზდომია ოცნებად.

რა ჰქნას გოჩა იაძე, სად არ იყო, სად არა, ზამთრის სუსხმა მცხეთიდან რუსთავამდე ატარა.

„წინდები გსურს კაპრონის? ნეილონის? ინებე! ჩვენი გამყიდველები როგორ გაწყენიანებენ.“

ხელთათმანი? მზად არის, ნაზი და სიფრთხანა, ჩაიცვამ და ვერ იგრძნობ, ხელებს თუ რა გიფარავს.

„თბილი ხელთათმანები?“ — ჰკითხის ქალი დარცხვენით, — „მოსულიყავ ივლისში, გეჰონდა აურაცხელი“.

„ისტუმო სად იყავ? როგორ გითხრა ურიგო, მაშინ თბილი წინდები გეჰონდა, ძმაო, ურიგოდ“.

შესძრა მაღაზიები, ჰკლავს სიცივე, ჰკლავს სუსხი, ყველგან ერთი კითხვა და ყველგან ერთი პასუხი.

ძმაო, რად არ იფიქრე, ამ დროს ასე ივლიდი? შეგეძინა მისში, შეგიძინა ივლისში.

ახლა მაინც, ძმობილო, შეუღდე თადარიგს, სულ ხომ აქ არ იქნება ეს ქარი და ზამთარი?

ზაფხულისთვის იყიდე ქოლგა, ქუდი, წინდები... თუ რა ქარგი საქმე ჰქმენ, აგისტოში მიხვდები.

ვახტანგ გორგანელი



მთავარი რედაქტორი ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო კოლეგია:
ზ. გოლგახაძე (პ/მზ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მაღალაშვილი,
ბ. ნიწინაძე,
(მთავ. რედ. მოადგილე),
ნ. ზვებელიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პარკი № 42.

ნიანგი

ბათ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32. საერთო განყოფილების 93-10-78.

თბილისი, სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. სსრკ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამოცემა-მლოა. ხელმოწ. დასაბ. 2/XI 1968 წ. კალ. ზომა 70x108¹/₈ 1 ნაბ. ფურც. 1,4. ფიზიკურ ფორმატა რაოდენობა 1. პირობითი ფორმატა რაოდ. 2. სსრკ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამოცემა-მლოა. გ. პ. 14. შიგ. № 4154. შ. 02578. ბირაჟი 89.400.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ



ამერიკელი მფრინავები, რომლებიც სამხრეთ ვიეტ-
ნამზე, ლაოსზე და კამბოჯაზე პირადად თავდასხმებში
იღებენ მონაწილეობას, გარდა ჯამაგირისა, ყოველ გა-
ფრენაში 100 — 125 დოლარს იღებენ.

პირატი-ავტომატი